ჭეშმარიტად, როცა ხალხი ხედავს მჩაგვრელს და არ აჩერებს მის ხელებს, ალლაჰის სასჯელი მალე მოიცავს მათ ყველას

აბუ ბაქრ სიდდიყიდან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) რომ მან უთხრა: "ჰეი ხალხნო, ჭეშმარიტად თქვენ კითხულობთ ამ აიათს: { ჰეი თქვენ რომელთაც ირწმუნეთ! თქვენს თავს მიხედეთ და ვერაფერს გავნებთ ის ვინც გზას აცდენილა თუ სწორ გზაზე იქნებით}, ჭეშმარიტად მე გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, როცა ხალხი ხედავს მჩაგვრელს და არ აჩერებს მის ხელებს, ალლაჰის სასჯელი მალე მოიცავს მათ ყველას».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ, ალ-ნასაიმ ალ-ქუბრაში, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

აბუ ბაქრ ას-სიდდიყი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს, რომ ხალხი კითხულობდა ამ აიათს: {ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თქვენს თავს მიხედეთ და ვერაფერს გავნებთ ის. ვინც გზას აცდენილა თუ სწორ გზაზე იქნებით} [ალ-მაიდა: 105] და ისინი იგებდნენ, რომ ეს აიათი იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თავის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს, და მას არ ავნებს, თუ სხვები გზას აცდებიან. ასევე ფიქრობენ, რომ მათ არ ეკისრებათ ვალდებულება, ბრძანონ სიკეთე და აკრძალონ აუგი! ამიტომ, მან მათ აუხსნა, რომ ეს ასე არ არის და თქვა, რომ გაიგონა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: რომ თუ ხალხი ხედავს მჩაგვრელს და არ შეაჩერებს მას მისი უსამართლობისგან, მაშინ, როცა ამის შეჩერების შესაძლებლობა აქვთ, ალლაჰი მალე ყველას მოიცავს სასჯელით — როგორც იმ უსამართლობის ჩამდენს ასევე, ვინც მასზე გაჩუმდა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3470